საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნუგზარ სალიას

მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	9	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	78	100

თემურ გოგოხია

22.11.2021 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად

საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე

მოსამართლეობის კანდიდატის - ნუგზარ სალიას შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ნუგზარ სალიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას შევაფასე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით შევადგინე კანდიდატის შეფასების საბოლოო დასკვნა. ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება; ***პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე, სამსახურეობრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგ: ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმის გადახდის დროს) და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით ნუგზარ სალიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მის მიერ შევსებული დეკლარაცია შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატს შესაფასებელ პერიოდში არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

		გამოკითხული რესპოდენტებიდან: კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ნუგზარ სალია აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასისათებელს. ***დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის პრინციპულობა, მის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა; კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალია არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, გასაუბრებიდან გამომდინარე კანდიდატს არ გამოუხატავს მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა მოქალაქეთა ჯგუფების მიმართ. რეკომენდატორების დახასიათებით ნუგზარ სალია არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე, კორექტული, პრინციპული და სამართლიანი პიროვნება. რეკომენდატორები გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს, როგორიცაა, მტკიცე ხასიათი, მიუკერძოებლობა და შრომისმოყვარეობა.

		ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საფუძველს კანდიდატი კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით შევაფასო დადებითად. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალიას მიმართ დისციპლინური დევნა/ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა. ასევე, წარმოდგენილი არ ყოფილა მხარედ და დაზარალებულად. საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იქცეოდა კორექტულად, ცდილობდა მობილიზებას და ემოციების მართვას. ზემოაღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით ნუგზარ სალიას ვაფასებ დადებითად. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია,

		ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა; კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხული რესპოდენტებიდან კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. რეკომენდატორები კანდიდატის ნაკლოვანებებზე არ უთითებენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის შეფასების შედეგად, ვთვლი, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით შეფასებული იქნას დადებითად. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის, შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნუგზარ სალიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში ნუგზარ სალია რეგისტრირებული არ არის. **საბოლოოდ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი.**

			შესაბამიად, მიმაჩნია, რომ ნუგზარ სალია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**25**	კომპეტენტურობის კრიტერიუმით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ნუგზარ სალიას შეფასებისას გავითვალისწინე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა; ამასთან კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებას საფუძვლად დაედო კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი და საჯარო მოსმენის შედეგად მის მიერ გადმოცემულ პოზიცია, მოსაზრება და საერთო შთაბეჭდილება. *სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით* -

			შეფასებისას ყურადღება ექცევა კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონეს. საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას დასმული იქნა არაერთი სამართლებრივი შეკითხვა, მათ შორის კანდიდატმა შემლებისდაგვარად გამიჯნა ხულიგნობა და ძარცვა, იმსჯელა ხულიგნობა არის თუ არა უმოტივო დანაშაული, საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ერთმანეთისგან განასხვავა ჯგუფური და ორგანიზებული დანაშაული, საკუთარი შეხედულება დააფიქსირა კითხვაზე მოსამართლის მიერ საქმის განხილვის პროცესში კონსტიტუციის შეუსაბამო ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე, შემლებისდაგვარად შეეცადა განესხვავებინა ერთმანეთისგან პატივი და ღირსება. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოების შეჯერების შედეგად სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით შეფასებისას მინდა აღვნიშნო, რომ კანდიდატი არც ისე სიღრმისეულად იცნობს როგორც შიდასახელმწიფოებრივ ნორმებსა და პრაქტიკას, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით უჭირს პრაქტიკულად გააზრება.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**25**	*სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით* - შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი

			იქნა სამართლებრივი დოკუმენტი, კერძოდ, სამართლებრივი მოსაზრება - ,,ნარკოპოლიტიკაზე, დაზარალებულზე, ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევით ჩადენილ დანაშაულებზე, კონფლიქტებზე.'' დოკუმენტის შეფასებისა და გაანალიზების შედეგად მინდა აღვნიშნო, რომ კანდიდატი ახდენს სამართლებრივი პრობლემის არსის ნათლად წარმოჩენას, ახდენს ძირითად საკითხებზე კონცენტრირებას და ანალიზს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის საჯარო მოსმენისას გასაუბრებაზე სამართლებრივი სახის კითხვებზე მისი პასუხები იყო ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს - ნუგზარ სალიას აქვს სპეციალობით მუშაობის 34 წლიანი გამოცდილება.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**20**	***წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის და ანალიზის უნარი, ასევე გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, კანდიდატის ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. კანდიდატის მიერ წამოდგენილი სამართლებრივი მოსაზრების შეფასებისა და გაანალიზების შედეგად, მივიჩნევ, რომ წერილობითი მასალა იკითხება ადვილად, აზრი ავტორის მიერ ნათლად და გარკვევითაა გადმოცემული. კანდიდატთან გასაუბრებისას მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად, შემიძლია ავღნიშნო, რომ ნუგზარ სალია

			ძირითადად მეტყველებს გარკვევით და ახდენს საკუთარი პოზიციის ნათლად გამოხატვას.
პროფესიული თვისებები	**9**	**15**	*პროფესიული თვისებების მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. მოძიებული ინფორმაციიის თანახმად, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**	*აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით* - შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. მოძიებული ინფორმაციიის თანახმად, კანდიდატი დღეის მდგომარეობით არ ეწევა პედაგოგიურ და აკადემიურ საქმიანობას. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	*პროფესიული აქტივობის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეეებისა და წინადადებების წამოყენება,

			მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა; მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი ხასიათის არაერთ ღონისძიებასა და სემინარში. მათ შორის აღსანიშნავია: - სისხლის სამართლებრივი სისტემის კურსი; - - გადამზადების კურსი, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში -ტრენინგი; - - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებსა და არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიაში სპეციალური კურსი; - სისხლის სამართლის პროცესის და შეჯიბრებითი პროცესის თაობაზე პროკურორების საწვრთნელი კურსი
ქულათა ჯამი	**78**	**100**	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ნუგზარ სალია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმს. კანდიდატს ჯამში ვაფასებ 78 ქულით.		

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

ხელმოწერა:

თარიღი: 22.11.2021